# ხელშეკრულება № 212

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონკურსი)

ქ. თბილისი „29" „აგვისტო" 2014 წ.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. **2 26-13-37**, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ლაშა ხუციშვილის სახით და **შპს „ოპტიმუსი"** (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №1, ტელ: 595 90 22 25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE57TB7697236080100001, სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22, სკ-404420998) შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **გაიოზ ჭანკვეტაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10[2] მუხლის პირველი პუნქტისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება"_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება**
**(CPV კოდი - 71320000)**

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის საკონკურსო განცხადებისა და კონკურსანტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლაშა მერკვილაძე და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი – მიხეილ ჩუბინიძე, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს გიორგი ლიპარტია - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველი.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,<br>მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,<br>ტელეფონი: 2 26 13 37,<br>საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,<br>სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,<br>სკ - 204862078 | შპს „ოპტიმუსი",<br>მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №1,<br>ტელეფონი: 595 90 22 25,<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ანგ. №GE57TB7697236080100001,<br>სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22,<br>სკ - 404420998 |

# შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

საძენებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.


№260714/2

26 ივლისი 2014 წ.

## შპს "ოპტიმუსი"-ს რეკვიზიტები


დასახელება: შ.პ.ს. "ოპტიმუსი"

ს/კ 404420998;

იურ.მისამართი – ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;

ფაქტ.მისამართი – ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№14

ბანკის კოდი – **TBCBGE22;**

ა/ა **GE57 TB76 9723 6080 1000 01;**

დირექტორი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251)

საკონტაქტო ტელ: 595 90 22 25 (მობ.)

**email: g.chankvetadze@gmail.com**


შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი

გ.ჭანკვეტაძე


საქართველო. ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;

GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
საძიებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.

№26 07/14/1

26 ივლისი 2014წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საკონკურსო კომისიას

## შპს "ოპტიმუსი"-ს საკონკურსო წინადადება

1. შპს "ოპტიმუსი"-ს საკონკურსო წინადადების ფასია – 4.000 (ოთხიათასი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით;

2. დოკუმენტაციის (პროექტის და ხარჯთაღრიცხვის) საბოლოო მოწოდების ვადაა – 20 (ოცი) კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

3. ანგარიშსწორება მოხდეს პროექტის ჩაბარებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა 30 კალენდარული დღე მისი წარმოდგენის დღიდან.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
საშენებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.

№Z-6071/14/3

26 ივლისი 2014 წ.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (მდებარე ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების**

## განმარტებითი ბარათი

წინამდებარე განმარტებით ბარათის მომზადებას საფუძვლად დაედო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსი – ქთბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (მდებარე ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით

საპროექტო ტექნიკური დავალების შესაბამისად კომპანიის არქიტექტორთა ჯგუფის მიერ აიზომება და დამუშავდება შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სართულების, სახურავის, საქვაბის და საგუშაგოს გეგმები, რის შემდეგაც მომზადდება შესაბამისი მუშა-ნახაზები. კერძოდ, სახურავზე ჰიდროიზოლაციის მოწყობის და ტექნიკური ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, მე-4, მე-5 და მე-9 სართულების ინტერიერის და საინჟინრო კომუნიკაციების რემონტისთვის, საგუშაგოს და საქვაბის აღდგენა რეაბილიტაციაზე. ჩვენს მიერ წარმოდგენილი დეტალური მუშა ნახაზები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნება ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესებთან.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI, RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
საშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№26074/4

26 ივლისი 2014 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საკონკურსო კომისიას

წარმოგიდგენთ კომპანიის იმ თანამშრომელთა ჩამონათვალს, რომლებსაც მოუწევთ მუშაობა წინამდებარე პროექტზე:

1. გაიოზ ჭანკვეტაძე – კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი. დაბ. 1968წ. მშენებელი- ინჟინერი, კონსტრუქტორი, სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი. მშენებლობის სფეროში 1985 წლიდან. სტაჟი 28 წელი.
2. გიორგი ხუციშვილი – კომპანიის მთ.არქიტექტორი, დაბ 1987წ. დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია, ანალოგიურ საქმიანობაში მონაწილეობს სტუდენტობის პერიოდიდან. გამოცდილების სტაჟი 7 წელი.
3. ვაჟა ძაგანია – მშენებელი-ინჟინერი, საინჟინრო კომუნიკაციების სპეციალისტი. დაბ. 1936წ. სამშენებლო-საპროექტო სფეროში მოღვაწეობს 1962 წლიდან. სტაჟი 51 წელი.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი optimus ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
საშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა

№26/07/14/3

26 ივლისი 2014 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საკონკურსო კომისიას

გაწვდით ინფორმაციას კომპანია „ოპტიმუსი"-ს მიერ შესრულებული ანალოგიური მომსახურების (პროექტირების) შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის აპრილში და ამ დრომდე აქტიურად თანამშრომლობს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე კერძო სექტორთან. ჩვენს მიერ შესრულებულია და მერიის შესაბამისი სამსახურს უკვე დამტკიცებული აქვს I, II, III და IV კლასის შენობების პროექტების ნებართვები, ნაწილი ობიექტებისა ჩვენი პროექტების მიხედვით უკვე განხორციელებულია და ნაწილი მშენებარე პროცესშია.

სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, მონაწილეობა მივიღეთ და ჩვენმა კომპანიამ გაიმარჯვა:

1. **სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს** მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც მოიცავდა ქ.თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში არსებული სამინისტროს შენობის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტირებასა და შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. (კონკურსი №659, გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02/21 08.02.2013წ.) აღნიშნული მომსახურება ჩაბარდა ა.წ. 21 მარტს (მ/ჩ აქტი 21.03.20013წ.) სამინისტროს შესყიდვების სამმართველოს უფროსი შალვა ჯულაყიძე ტელ: 577000103
2. **იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტო"-ს** მიერ გამოცხადებულ სამ არქიტექტურულ კონკურსში:

ა)**საზოგადოებრივი ცენტრი „სოფლის სახლი"** ეს არის ტიპიური პროექტი, რომელიც მოიცავს ქართულ სოფლებში იუსტიციის სახლების პროექტირებას. (კონკურსი №750,

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02/13-118 20.05.2013წ.) აღნიშნული მომსახურება ჩაბარდა ა.წ. 20 ივნისს შესყიდვების სამმართველოს მთ.სპეციალისტი ტელ: 577615550

ბ)ქ.ადიგენში იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებელი საინჟინრო-საპროექტო მომსახურეობა. (კონკურსი №756, გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02/01-01 29.05.2013წ.) აღნიშნული მომსახურება ჩაბარდა ა.წ. 29 ივნისს. შესყიდვების სამმართველოს მთ.სპეციალისტი ტელ: 577615550

გ)ქ.წალენჯიხაში, იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებელი საინჟინრო-საპროექტო მომსახურეობა. (კონკურსი №770, გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02/01-13 11.06.2013წ.) აღნიშნული მომსახურება ჩაბარდა ა.წ. 11 ივლისს. შესყიდვების სამმართველოს მთ.სპეციალისტი ნათია ხუჯაძე ტელ: 577615550

გარდა ამისა, ჩვენს მიერ შესრულებულ პროექტებიდან შეირჩა კიდევ ერთი სახასიათო ტიპის პროექტი, რომელიც უკვე აშენდა და განთავსდა თბილისის შემოსასვლელში დავით აღმაშენებლის ხეივანში.

1.. „ლადა“-ს ავტოცენტრის ადმინისტრაციული შენობა დამკვეთი შპს შ.პ.ს. “გლობალ მოტორს ჯორჯია-ჯი ემ ჯი” ს/კ 406043115 დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი ტელ: 592525727

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს
კუთვნილი შენობის რეკონსტრუქცია

სანდრო ეულის ქ. №3



"OPTIMUS" LTD * "ოპტიმუსი" შპს * GEORGIA * საქართველო, ქ. ბათუმი, ბ. ბოდენ 2
OPTIMUS
404420998

საზოგადოებრივი ცენტრი "სოფლის სახლი" (იუსტიციის სამინისტრო; შენდება 6 სოფელში)





საქართველო, შპს "ოპტიმუსი"
OPTIMUS
ოპტიმუსი
404420998
GEORGIA, "OPTIMUS" LTD

ძ. ადიბენი; იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული შენობის
რეკონსტრუქცია



ძ. ფალენჯიხა; იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული შენობის
რეკონსტრუქცია



"ოპტიმუსი" OPTIMUS ოპტიმუსი 404420998 GEORGIA "OPTIMUS" LTD

ქ. თბილისი; ალმაშენებლის ხეივანი

" ლადა"-ს ცენტრი



„OPTIMUS" LTD * „ОПТИМУС" ООО * GEORGIA * საქართველო, ქ. თბილისი, 0164 ОПТИМУС 404420998

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

   შესყიდვის ობიექტია: **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.**

   საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4450 (ოთხი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარს.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
   2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).
   2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

   დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
3. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 28 ივლისს 12:00 საათზე.
   დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 28 ივლისს 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #16, მე-8 სართული, მე-9 ოთახი.
4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

7. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
8. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
9. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

*9.1* განმარტებითი ბარათი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ – *0.2;*

*9.2 საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.8 .*

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

10 კონკურსი ტარდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

11 დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში,
საკონტაქტო პირი: მაკა სოხაძე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #16, მე-8 სართული, მე-9 ოთახი;
ტელეფონი: 022 2 261 336.

## ტექნიკური დავალება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის სრული და დეტალური საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებისას გასათვალისწინებელი პირობები:

- ბრტყელი გადახურვის სახურავის ჰიდროიზოლაციის, პარაპეტებისა და სახურავზე არსებული ტექნიკური ოთახის მოწყობა-რეაბილიტაცია;
- მე-4, მე-5 და მე-9 სართულების დერეფნების (კედლები, ჭერი, იატაკი, სანათები, კარებები და ელექტროობა,) სრული რეაბილიტაცია;
- სველი წერტილების (საპირფარეშოში–ჭერი, ხელსაბანები და აზიური უნიტაზები, კაფელ-მეტლახი, არსებული სანათები და ელექტრო გაყვანილობა, კარებები და სავენტილაციო სისტემა, შიდა წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემა) რეაბილიტაცია;
- მე-9 სართულზე ახალი სველი წერტილის მოწყობა;
- გამშვები პუნქტის (საგუშაგოს-სახურავი, ჭერი, კედლები, იატაკი, კარ-ფანჯარა, ელექტროობა) სრული რეაბილიტაცია;
- არსებული საქვაბისა და გათბობის შიდა ქსელის (ქვაბის, სამნთურის, რადიატორების, საცირკულაციო ტუმბო) ნაწილობრივ რეაბილიტაცია;
- ცენტრალური გაზის სისტემის წნევის მარეგულირებელი მოწყობილობისა და სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთააღრიცხვა.

სავარაუდო მოცულობები:

ტუალეტების ფართი 320 $მ^2$

ახალი სველი წერტილების ფართი 20 $მ^2$

დერეფნების 700 $მ^2$

სახურავი 1400 მ2

სარეაბილიტაციო საგუიშაგოს სრული ფართი 20 $მ^2$

ძირითადი მოთხოვნები, რაც უნდა შესრულდეს სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას:

1. განმარტებითი ბარათი;
2. გათბობა;
3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
4. ხარჯთაღრიცხვა;
5. დემონტაჟის პროექტი;
6. პროექტი.

საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის რიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

კონკურსანმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ–ს ჩათვლით;
ბ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;
გ) ინფორმაცია კონკურსანტის ანალოგიური გამოცდილების თაობაზე.
დ) კონკურსანტის რეკვიზიტები;
ე) განმარტებითი ბარათი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2 26-13-36, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი ჯავახიშვილის** სახით და ----------შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება"_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.**

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა -------- ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს --- დღის განმავლობაში და მიაწოდოს სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები პროექტში შემსყიდველის დაკვეთით. ასევე, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ----------.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის

გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს _____.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,<br>მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,<br>ტელეფონი: 2 26-13-37,<br>საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,<br>სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,<br>სკ-204862078. | |
| _____ | _____ |

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის „29" „ივლისი"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ ლაშა ხუციშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ლაშა მერკვილაძე

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ მიხეილ ჩუბინიძე

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ გიორგი ლიპარტია